ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4512884

ნომერი: AR1683104

თარიღი : 22.05.2019

გაცემის თარიღი : 23.05.2019

გაცნობის თარიღი : 23.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფრედერიკ მონპერის ქუჩა, N 21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან სიხარულიძე პ/ნ 01024024502
- თბილისი საბურთალოს ქ. N 44 ბ. 39

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 მაისის №4506291 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 22

მაისს №AR1683104 განცხადებით მომართა ლევან სიხარულიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 20 მაისის №4506291 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 მაისის №4506291 ბრძანებით ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ფრედერიკ მონპერის ქუჩა N21-ში, N01.72.14.059.081 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ცხრა ცალი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 20 მაისის №4506291 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ფუნციური ზონის ნაწილში საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) ნაცვლად დაფიქსირდა საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), შესაბამისი პარამეტრებით. შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს ზემოაღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მე-2 მუხლის თანახმად, წერილობითი დასტურის/მშენებლობის ნებართვის გაცემის რომელიმე სტადიის ან/და ტერიტორიული-სტრუქტურული დოკუმენტების დამუშავებისა ან/და მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინამდებარე დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ამავე კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების მოთხოვნით სამსახურში განცხადება (AR1659273) წარმოდგენილ იქნა 2019 წლის 05 თებერვალს. შესაბამისად, აღნიშნულ ადინისტაციულ წარმოებასთან დაკავშირებით მოქმედებს განცხადების შეტანის დროისთვის მოქმედი კანონმდებლობა.
განცხადების შეტანის დროისთვის მოქმედი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, N01.72.14.059.081 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 მაისის №4506291 ბრძანებაში და მიწის ნაკვეთის შესახებ ინფორმაციის ველში საცხოვრებელი ზონა 5-ის ნაცვლად დაფიქსირდეს საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). შესაბამისი ჩანაწერით: „საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) — დაბალი ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა,რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.”.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 მაისის №4506291 ბრძანებაში კონკრეტული ფუნქციური ზონის პარამეტრების ველში, საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) პარამეტრების ნაცვლად დაფიქსირდეს საცხოვრებელი ზონა 3-ს (სზ-3) პარამეტრები:
განაშენიანების რეგულირების პარამეტრები:
კ-1 0,5
კოეფიციენტი
კ-2 -1.5
კოეფიციენტი
კ-3 0,3
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე

–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
- 300 / 400 *
მინიმალური სიგანე
- 9 / 12 *
მეტრი
მინიმალური სიღრმე
- 20 / 25 *
მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე
15
მეტრი
შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის და სასტუმროსთვის.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 მაისის №4506291 ბრძანებაში, „გაფრთხილების“ ველში ჩანაწერის: „შენობა–ნაგებობის განთავსება განხორციელდეს საცხოვრებელ ზონა 5 (სზ–5)–ის არეალში“ ნაცვლად დაფიქსირდეს: „შენობა–ნაგებობის განთავსება განხორციელდეს საცხოვრებელ ზონა 3–ის (სზ–3) არეალში.“

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 მაისის №4506291 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

5. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 მაისის №4506291 ბრძანებასთან ერთად.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.